707 № 9952

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
Газета выходит с 1926 года.

№ 5 (2100) კვირა, 2 თებერვალი 1986 წელი. ● ფასი 2 კაპ.

## საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე

გაიმართა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის სხდომა. სხდომაზე განიხილეს კადრების საკითხი. პრინციპული მსჯელობა გაიმართა სოციალისტური კანონიერების უხეშ დარღვევებზე ერთ-ერთ შრომა-გასწორების დაწესებულებაში. განიხილეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების და ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის პროფესიული მომზადების სისტემაში გასული სასწავლო წლის შედეგები და ამ ხაზით მუშაობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებები. სხდომაზე მოისმინეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 1985 წელს გაწეული საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგები.

ИНТЕРВЬЮ С ДЕЛЕГАТОМ XXVII СЪЕЗДА КП ГРУЗИИ

# ПОРЯДОК НАЧИНАЕТСЯ С БЛЕСКА ПУГОВИЦ НА ШИНЕЛИ

**Круг вопросов, которые собрались обсуждать с делегатом XXVII съезда Компартии Грузии, полковником милиции Александром Золотинсковичем Анкваб, был в общих чертах заранее очерчен. В основном — обо всем, что касается его обязанностей, как начальника политотдела МВД Грузии. О задачах, возглавляемой им службы. Но разговор вышел за рамки профессиональной темы, и в него даже ворвались лирические строки. Но это — потом.**

— **Как восприняли критику, прозвучавшую с трибуны 40-й Тбилисской городской партийной конференции в адрес работников милиции?**

— Критика справедлива, и надо не обижаться, а сделать соответствующие выводы. Перестроиться. В корне изменить свое отношение к порученному делу, к своим обязанностям, к своему профессиональному долгу. Нужна, прежде всего, компетентность в работе, профессионализм. Только так завоевывается авторитет.

У нас высокая миссия — обеспечивать порядок, охранять закон. Мы облечены большой властью и распоряжаться ею обязаны только с позиции справедливости. Каждый шаг милиции связан с людьми. С их бедами, настроением, проблемами. С их судьбами. Вот почему методы, формы работы, тон — все идет в расчет, все должно быть тысячу раз продумано, выверено. Ошибаться не дано никому, какой бы пост он ни занимал. Люди судят о нас по своим впечатлениям, по конкретным встречам и наблюдениям. А потом конкретное обобщается. И тогда поведение одного сотрудника — это уже поведение всей милиции, проступок одного — это проступок всей милиции. Как в той пословице о паршивой овце, которая испортила все стадо.

Авторитет мы зарабатываем сами. Сами и теряем его. Терять гораздо легче.

— **Авторитет — сумма многих слагаемых. Вы назвали главные—компетентность, профессионализм...**

— Второстепенных, считаю, тут нет. А внешний вид работника милиции, его манера общения — разве это не главное? О каком уважении к блюстителю порядка может идти речь, если он сам нарушает порядок.

С чего начинается порядок? Да с пуговиц на его шинели, с ботинок. Пришел, скажем, участковый к гражданину за объяснениями — заросший, неряшливый, в брюках, давно не видавших утюга. Станет ли гражданин давать ему объяснения? Я бы лично на его месте не стал. Пусть прежде пойдет, приведет себя в надлежащий вид, тогда будем беседовать.

Отец мой всю свою жизнь проработал в милиции. Вышел на пенсию старшим сержантом. Кстати, несмотря на положение табеля о рангах, я, полковник, по-прежнему ему подчиняюсь, у меня особо запало в память, что отец, прежде, чем идти на дежурство, старательно гладил брюки. Даже матери не доверял это дело. Мне же было вменено в обязанность начищать до блеска ботинки, драить пуговицы, кокарду на фуражке. Посмел бы я сделать это недобросовестно! Да и товарищи его, представители старой милицейской гвардии, точно так же относились к своему внешнему облику. Дохожу до крайней точки раздражения, когда вижу расхлябанного, давно не бритого человека в милицейской форме. Мундир — он ко многому обязывает, и надо защищать его честь.

— **Многие беды идут от неправильного подбора и расстановки кадров. Как решается эта проблема?**

— Серьезная проблема — подобрать, воспитать кадры, обучить их милицейскому делу, чтобы правильно работали, правильно мыслили. Какими чертами характера, какими душевными качествами должен обладать человек, решивший посвятить себя служению закону? Этот вопрос очень важный. Ведь можно получить высшее юридическое образование, но не быть внутренне готовым к делу. Так что же прежде всего надо? Любить людей. Это — не красивая фраза. Это первое условие. Хлопотно и трудно бороться за полноценного гражданина. ставить на ноги тех, кто упал. А результаты? Они не в наградах, а в людских судьбах.

Приходят к нам парни по комсомольским путевкам, по рекомендации трудовых коллективов. Знают о нашей работе по детективным фильмам и романам. Ищут приключений, возможностей легко прославиться, а попадают из книжной романтики в суровую будничность. Приход разочаровывает. Как закрепить их, как приучить к бессонным ночам, заставить полюбить наше дело? Тоже — задача задач.

Есть у нас немало хороших работников — опытных, знающих. Есть, к сожалению, немало и плохих, подрывающих наш авторитет, престиж. Но существует, так сказать, промежуточная категория — середняки. Создают видимость активной деятельности или сидят, затаившись, чтобы не очень бросаться начальству в глаза. А время идет. Зарплата течет. Причем высокая. Отсидятся в кабинетах, а там и на пенсию пора. Борьба за чистоту рядов милиции, которая ведется у нас неослабно, включает в себя и освобождение органов от тех, кто работает вполсилы, от балласта.

Задача нашего отдела — осуществлять партийно - политическую обеспеченность оперативно - следственной деятельности, давать партийную оценку работе сотрудников внутренних дел, спрашивать по-партийному за все упущения, просчеты, повышать личную ответственность коммунистов за то, что происходит в республике и ее столице. Надо больше внимания уделять комсомольским организациям. Молодежь на собраниях обсуждает свои проблемы, а их старшие товарищи, коммунисты, зачастую не в курсе дел. Почему руководитель не считает своим долгом прийти на собрание и спросить: «Чем вы, парни, болеете? Какие у вас заботы?».

— **Каким, на ваш взгляд, должен быть руководитель?**

— Что касается милиции, то твердо убежден — без чувства ответственности, справедливости и доброты здесь нечего делать. Когда нет этих качеств, начинаются злоупотребления, беззаконие. Как-то я по служебным делам приехал в исправительно - трудовую колонию. И вдруг вижу своего старого знакомого, отбывающего здесь срок. В бытность начальником милиции я его сам отправил на скамью подсудимых. Ну, думаю, встреча! А он подходит, приветливо заговаривает... Ни

(Окончание на 2-й стр.).

## НАША СИЛА — В СВЯЗИ С МАССАМИ

Ежедневно по вечерам на улицы городов и сел нашей республики выходят люди с красной повязкой на рукаве. Это — добровольные народные дружинники, обеспечивающие общественный порядок, охраняющие покой и мирный труд жителей городов и сел.



Более 30 организаций Мцхетского района направляют своих рабочих и служащих в ДНД, которые обеспечивают общественный порядок в районе. Наибольшую активность в этом важном деле проявляют дружинники завода «Промсвязь», автотранспортного объединения, организации «Мцхетгаз».

Вместе с сотрудниками Мцхетского РОВД они бдительно несут службу на улицах района, пресекают правонарушения.

**НА СНИМКЕ: первый заместитель начальника Мцхетского РОВД майор милиции В. Вашаломидзе и заместитель начальника по оперативной части майор милиции Т. Баджадзе проводят инструктаж дружинников перед заступлением на дежурство,**

Текст и фото
**А. АРАМАДЗЕ.**

## В Президиуме Верховного Совета СССР

**Президиум Верховного Совета СССР назначил тов. ВЛАСОВА Александра Владимировича министром внутренних дел СССР.**

## ВЛАСОВ Александр Владимирович

Власов А. В., 1932 года рождения, русский, член КПСС с 1956 года, образование высшее. Трудовую деятельность начал горным мастером. Затем находился на комсомольской, советской и партийной работе. Был первым секретарем Иркутского обкома ВЛКСМ, первым заместителем председателя Иркутского облисполкома, вторым секретарем Якутского обкома партии.

Три года работал инспектором ЦК КПСС, около девяти лет — первым секретарем Чечено-Ингушского обкома КПСС. С 1984 года — первый секретарь Ростовского обкома партии. Член ЦК КПСС. Депутат Верховного Совета СССР.

# ავანგარდში არიან კომუნისტები

**გასულ** წელს კასპის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების პარტიული ორგანიზაცია, კომუნისტების პირადი შემადგენლობა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანოების და შინაგან საქმეთა სამინისტროს დახმარებით და ხელმძღვანელობით ანხორციელებდა მთელ რიგ ღონისძიებებს რაიონის ტერიტორიაზე სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად დანაშაულის აღკვეთა-აცილებისა და ყოფა-ცხოვრებაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის. მუშაობაში ძირითად ყურადღებას ვუთმობთ პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერების, დანაშაულის წარმომშობი და ხელისშემწყობი მიზეზების აღმოფხვრის საქმეს. ამ მიზნით გაუმჯობესდა მუშაობა მუქთახორობის, ლოთობის და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ, ოჯახური და მეზობლური დავების მოწესრიგების, მოსახლეობაში უნებართვო იარაღის ამოღების, თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებულ პირთა შრომითი მოწყობის და აღზრდა გამოსწორებისათვის, არასრულწლოვანთა დანაშაულების აღკვეთა-აცილებისათვის. ნაწილობრივ გაუმჯობესდა მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა, სისტემატიური ხასიათი მიეცა შრომითი კოლექტივებისა და რაიონის მოსახლეობისათვის მომხდარი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდების საქმეს. გაზეთ „განთიადის“ ფურცლებზე სისტემატიურად ქვეყნდება სტატიები, ხოლო თვეში ერთხელ გაზეთის ერთი გვერდი მთლიანად ეთმობა შს რაიგანყოფილების მუშაობას. სისტემატიური ხასიათი მიეცა რაიონის ტერიტორიაზე რეიდებისა და შემოვლების მოწყობას, მტკიცე ბრძოლა გამოეცხადა სოც. საკუთრების დამტაცებლებს, ერთგვარი მუშაობა იქნა გაწეული ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად.

საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის ორგანიზაციაში ირიცხებოდა პარტიის 25 წევრი.

ამჟამად, არასაუწყებო დაცვის განყოფილება გამოეყო ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას. ამჟამად ჩვენთან აღრიცხვაზე იმყოფება 20 კომუნისტი. ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში შექმნილი იქნა ორი პარტიული ჯგუფი სოც. საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის და უბნის ინსპექტორების, სადაც ჩატარებული იქნა საანგარიშო-საარჩევნო კრებები.

საანგარიშო პერიოდში პარტიული ორგანიზაციის პერსპექტიული და კვარტალური გეგმების მიხედვით მიმდინარეობდა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა, ყველა კომუნისტს მიცემული ჰქონდა მუდმივი და ერთდროული პარტიული დავალება, ყოველთვიურად ტარდება პარტიის კრებები და ბიუროს სხდომები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკითხების მომზადებაში ყველა კომუნისტი არ ღებულობდა მონაწილეობას. საკითხები მზადდებოდა თითქმის ყოველთვის ბიუროს წევრების და ცალკეული სამსახურების ხელმძღვანელების მიერ, კრებები და ბიუროს სხდომები ძირითადად ტარდებოდა სათანადო კრიტიკით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის გარეშე და აქედან გამომდინარე მიღებული გადაწყვეტილებებიც იყო ნაწილობრივ ზოგადი და ყოველთვის არ ასახავდა მთლიანად არსებულ სურათს.

საანგარიშო პერიოდში პარტიულ კრებებზე და ბიუროს სხდომებზე საკითხები მზადდებოდა და იხილებოდა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ პარტიული ორგანიზაციის წლიური და კვარტალური გეგმების მიხედვით და აგრეთვე საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომისა და საქართველოს შს სამინისტროს პოლიტგანყოფილების მიერ რეკომენდირებულ საკითხებზე. თითქმის არ დარჩენილა არც ერთი საკითხი, რაც განყოფილების მუშაობას შეეხებოდა, რომ არ გაგვეხილა კრებაზე ან ბიუროს სხდომაზე, ვისმენდით აგრეთვე ცალკეული სამსახურის უფროსების და კომუნისტების ინფორმაციებს გაწეული მუშაობის შესახებ. არ ყოფილა შემთხვევა კრებაზე არასაპატიო მიზეზით დაუსწრებლობისა. საწევრო ანარიცხები ყოველთვის იკრიბება ვადაზე და ბარდება შემნახველ სალაროში.

შრომის და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების მიზნით შედგენილი გვქონდა სამუშაო გეგმა და აღნიშნული გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა მუშაობა, შემოწმებული იქნა რამოდენიმე საკითხი. მაგრამ ეს სრულიადაც არ აღმოჩნდა საკმარისი, რადგან ნაკლოვანებები სახალხო კონტროლის ჯგუფის მუშაობაში ძალიან ბევრი აღინიშნებოდა. თავიანთი ინიციატივით არც ერთი საკითხი არ შეუმოწმებიათ და არ გაუხდიათ მსჯელობის საგნად, მხოლოდ და მხოლოდ მუშაობას წარმართავდნენ პარტიული ბიუროს მითითებებით.

ბოლო წლებში რაიგანყოფილებაში ახლად მიღებულ თანამშრომლებთან ვიყენებთ დამრიგებლურ მუშაობას ყველა ახალბედას განყოფილების უფროსის ბრძანებით დაენიშნა დამრიგებელი, რომელიც მასთან ეწევა უშუალო მუშაობას შედგენილი გეგმის მიხედვით. საანგარიშო პერიოდში პირადი შემადგენლობის იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის მიზნით შექმნილი იყო საშუალო და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის მარქსისტულ-ლენინური მომზადების ჯგუფი, სადაც გაერთიანებული იყო განყოფილებაში მომუშავე ყველა თანამშრომელი, მეცადინეობები ტარდება დამაკმაყოფილებლად, არ ყოფილა არც ერთი მეცადინეობის ჩაშლის ფაქტი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეცადინეობები ყოველთვის არ ტარდება იმ დონეზე, როგორც ზემდგომი ორგანოები მოითხოვენ.

განყოფილების პირადი შემადგენლობის აღზრდის საქმეში გარდა პოლიტმეცადინეობებისა საანგარიშო პერიოდში ვიყენებდით ლექცია-საუბრებს, ინდივიდუალურ აღმზრდელობით მუშაობას და სხვა.

პირადი შემადგენლობის აღმზრდელობით მუშაობაში დიდი როლი აქვს მინიჭებული განყოფილების საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მათ შორის ამხანაგურ სასამართლოს, ლენინის ოთახის საბჭოს. მართალია მათ გარკვეული მუშაობა ჩაატარეს, მაგრამ მაინც აღინიშნებოდა სერიოზული ნაკლოვანებები, რაც უნდა გაითვალისწინონ შემდგომში. განყოფილების პირად შემადგენლობასთან პოლიტაღმზრდელობით მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, ვიცით ის ხარვეზები და ნაკლოვანებები, რომლებსაც ადგილი აქვს ამ დარგში და ამიტომაც ჩვენი უპირველესი საზრუნავი სწორად ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება უნდა იყოს.

**ნ. რაზმაძე,**

**კასპის რაიონის შს განყოფილების პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი, მილიციის კაპიტანი.**

# კომკავშირელთა აქტიურობით

**„საზოგადოებრივი** წესრიგის დაცვას კომკავშირული ზრუნვა“ — ასეთი დევიზით მიმდინარეობდა შს ორგანოების კომკავშირული ორგანიზაციების საკავშირო დათვალიერება-შემოწმება.

დათვალიერება-შემოწმების მიზანი უპირველეს ყოვლისა იყო კომკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობის აქტივიზაცია, მუშაობის კულტურის ამაღლება სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტების აღმოფხვრა და მოქალაქეებთან ურთიერთობისას უტაქტობის შემთხვევების თავიდან აცილება.

ახალგაზრდობის ამ მიმართულებით აღზრდისათვის ყველაზე საუკეთესო ფორმა — კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივია, ამიტომ თეთრიწყაროს შს რაიგანყოფილების კომკავშირის კომიტეტმა სწორედ ამ მიმართულებით გააქტიურა მუშაობა.

გასულ წელს ორგანიზაციაში ორი კომკავშირულ-ახალგაზრდული საგუშაგო შეიქმნა. შემუშავდა სამუშაო გეგმა, საგუშაგოები ერთმანეთთან სოცშეჯიბრში ჩაებნენ. შედეგებიც დამაკმაყოფილებელი მივიღეთ. ახალგაზრდული საგუშაგოების ბაზაზე შეიქმნა კომკავშირულ-ახალგაზრდული ქვეგანაყოფები.

გასული წლის ნოემბერში ხელახლა გადავსინჯეთ ჩვენი პირადი შემადგენლობის შესაძლებლობები. აღინიშნა, რომ ორგანიზაციაში კომკავშირული საგზურებით ბევრი ახალგაზრდა მოვიდა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ: კ. წიკლაური, რ. ჩოქური, შ. იუსუბოვი, ვ. ფუხაევი პ. შავშიშვილი, მ. აფციაური, ი. ანაზაროვი და სხვები.

მოწინავენი წახალისებულნი არიან შს რაიგანყოფილების მიერ. ახლახანს კ. წიკლაური საქართველოს ალკკ ცკ-ის სიგელით დაჯილდოვდა. ახალგაზრდულ კოლექტივში ზოგჯერ გამოუცდელობის გამო დარღვევებსაც ჰქონდა ადგილი, რაც შემდგომში ამხანაგური სასამართლოს განსჯის საგანიც გახდა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ შეგვექმნა კომკავშირულ-ახალგაზრდული ქვედანაყოფი.

შემუშავდა სამუშაო გეგმა, სოცვალდებულებები.

ალკკ თეთრიწყაროს რაიკომის ბიურომ ახალგაზრდული კოლექტივის შექმნის საკითხი მოიწონა და დაამტკიცა.

კომკავშირის რაიკომისა და შს რაიგანყოფილების ერთობლივი ხელმძღვანელობით ვფიქრობთ უკეთეს შედეგებს მივაღწევთ საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური კანონიერების დაცვისა და პირადი შემადგენლობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში.

**რ. რამინაშვილი,**

**თეთრიწყაროს შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის კაპიტანი.**

# ПОРЯДОК НАЧИНАЕТСЯ С БЛЕСКА ПУГОВИЦ НА ШИНЕЛИ

**(Окончание. Начало на 1-й стр.).**

в голосе, ни в глазах нет и намека на озлобленность, затаенную обиду. Значит, понял, что получил то, что заслужил, а подлости ему начальник не сделал. Вот это и есть главное — действовать по справедливости. Виноватого наказать соразмерно его вине, споткнувшемуся дать возможность приподняться и выбраться на правильный путь.

Должен ли руководитель быть требовательным? Да, конечно. Но научиться требовать — дело нехитрое. Надо прежде проникнуться заботами своих подчиненных, обеспечить им нормальные условия, жить одной жизнью с ними.

Когда командир обучает бойцов, как вести себя в бою, он приказывает: «Делай, как я». Личный пример командира помогает постигать солдатскую науку, воодушевляет, поднимает боевой дух. Сила личного примера — вот чем должен обладать руководитель. Ты действительно делай то, чему учишь, поступай так, как требуешь от других. Иначе тебе не будут верить. Руководитель, которому не верят, ничего не добьется окриками и строгими приказами. Благо, если сам догадается снять с себя полномочия, чтобы не повредить делу. А ведь не каждый догадается сделать это, не каждый захочет расстаться с властью. В том-то и беда.

Ко всем перечисленным качествам добавлю еще одно, руководитель обязан много читать, несмотря на свою служебную занятость.

**— Какую литературу вы любите?**

— Должен признаться — детективные романы. Только хорошие. Исторические повести. Люблю стихи. Тоже хорошие. Недавно случайно встретилась строка Галактиона Табидзе: «Я всю Москву осыпал лепестками цинандальских роз». Замер от восторга. Люблю Вознесенского. Помните его «Балладу о подвиге профессора Жордания»? «Держись!» — приказал он девочке и вытолкнул ее в люк, и кинул ей вслед последний, как нимб, «спасательный круг». Хотелось выйти на площадь и громко читать эту балладу о подвиге, человечности, о доброте. Кстати, почему бы вам, журналистам, не заинтересоваться судьбой той девочки? Кем стала, вспоминает ли мужчину, спасшего ей жизнь, снится ли ей по ночам человек, отдавший свой спасательный жилет?

Недавно, готовясь к сессии слушателей Академии общественных наук при ЦК КПСС, перечитал «Капитал» Маркса. И пришел к выводу — такие произведения надо читать, имея жизненный опыт, чтобы понять всю мудрость заложенных там мыслей. Оказывается, в студенческую пору я многого в «Капитале» не понял, многое прошло тогда мимо моего сознания. Тем, кто впервые обращается к трудам Маркса, Энгельса, Ленина, могу посоветовать — читайте не торопясь, вдумчиво, возвращаясь к трудным для восприятия местам, и вам откроется мир мудрости, глубокой философии и правды жизни.

**Беседу вела**

**Л. ЧАЧУА.**

**(Печатается из газеты «Вечерний Тбилиси» от 23 января 1986 года).**

# XXVII СЪЕЗДУ КПСС — ОТЛИЧНУЮ СЛУЖБУ

В милицию Николай пришел после демобилизации из рядов Советской Армии. Трудно было ему поначалу, но помогла армейская закалка. Сейчас младший сержант милиции Николай Ахалкаци служит в подразделении по охране сооружений водоснабжения УВД г. Тбилиси.

Добросовестным отношением к службе он заслужил авторитет и уважение среди товарищей. Недаром они избрали его секретарем комсомольской организации.

Николай — студент-заочник Тбилисского государственного университета. Учится он на «отлично». А нелегкую службу в органах внутренних дел и учебу в университете Николай прекрасно совмещает с занятием своим любимым видом спорта — дельтапланеризмом.



**НА СНИМКЕ:** младший сержант милиции Н. Ахалкаци.

Фото С. Сычева.

## სიფხიზლე — ცხოვრების ნორმა

**პარტიამ** და მთავრობამ უკანასკნელ დროს დიდი ყურადღება დაუთმო სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის მკვეთრად გაუმჯობესების საკითხებს. ამას მოწმობს სკკპ ცკ-ის გასული წლის აპრილის პლენუმი და ამ პლენუმზე სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვაში მოცემული დებულებები და მითითებები.

გაშლილი ფრონტით მიმდინარეობს ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ.

ვაანალიზებთ რა სისხლის სამართლის დანაშაულთა საერთოდ ჩადენილ დანაშაულთა დინამიკას, კვლავ გვხვდებიან ნასვამი პირები. დარღვევებია საზკვების და სავაჭრო ობიექტებში სპირტიანი სასმელებით ვაჭრობაში. მართალია აღნიშნული დადგენილების გამოსვლით და კანონის გამკაცრების შემდეგ საგრძნობლად იკლო გამოსაფხიზლებელში მოხვედრილი პირების რაოდენობამ, მაგრამ პროფილაქტიკური მუშაობა ჯერ კიდევ არასაკმარისია, რეიდები არაეფექტურია, არ აქვს სისტემატიური და მკაცრი რეაგირების ხასიათი, მსხვილ ორგანიზაციებში არ ხდება სამუშაოზე ნასვამი პირების გამოცხადების შემოწმება და სხვა.

## გაშლილი ფრონტით

აშკარაა, რომ დანაშაულთა უმრავლესობა ჩადენილია სიმთვრალეში. სიმთვრალეს მოჰყვება მეზობლური დავები, ოჯახური უსიამოვნებანი, ავტოსაგზაო შემთხვევები, ახალგაზრდობის ჩათრევა ლოთობაში. სიმთვრალეშია ჩადენილი მკვლელობები, მკვლელობის მცდელობები. თავისთავად ცხადია ის ამბავი, რომ ფხიზელი ადამიანი უკეთ უკეთებს ანალიზს შექმნილ მდგომარეობას, უკეთ აზროვნებს და რეაგირებს მომხდარ სადავო კონფლიქტურ სიტუაციაში და ცხადია გადაწყვეტილებასაც სწორს ღებულობს.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა პირველ რიგში ჩვენი, შინაგან საქმეთა ორგანოების ვალია. ჩვენი მოვალეობაა აღვკვეთოთ ლოთობა, გამოვავლინოთ ლოთობისადმი მიდრეკილების მქონე პირები, მათი იზოლირებით ავიცდინოთ მოსალოდნელი დანაშაულობანი. ამ მხრივ ნაყოფიერია სამედიცინო გამოსაფხიზლებლების მუშაობა, რომელთა მიერაც ხდება სათანადო პროფილაქტიკური მუშაობა ლოთობისა და მისადმი მიდრეკილების მქონე პირთა გამოვლინება-გამოსწორების მიზნით.

ერთი საგულისხმო ფაქტი: დადგენილების გამოსვლის შემდეგ მნიშვნელოვნად იკლო სიღნაღის გამოსაფხიზლებელში მოხვედრილ პირთა რიცხვმა.

გამოსაფხიზლებლის მუშაკების მიერ პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებულია სავაჭრო ობიექტებში ლოთობასთან ბრძოლის ერთთვიური, ეწყობა სისტემატიური რეიდები, შემოწმებები, დიდი მუშაობა ტარდება მოსახლეობიდან არყის სახდელი აპარატების ამოღების საქმეში.

ჩატარებულია ლექცია-საუბრები, რეიდების მასალები ქვეყნდება გაზეთში (5-ჯერ), გადაიცემა რადიოთი (3-ჯერ) გამოვლინებულ დარღვევებზე სათანადო ინფორმაცია ეკეთდება პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა ქუჩებში და საზოგადოების თავშეყრის ადგილებში გარკვეული მუშაობა ჩაატარა ამ მხრივ სახელმწიფო ავტოინსპექციამ, მნიშვნელოვნად იმატა ნასვამი მძღოლების გამოვლინებამ.

მიუხედავად ამისა, რაიონის ტერიტორიაზე კვლავ აქვს ადგილი ტრანსპორტის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვას, კვლავ არიან მძღოლები, რომელნიც უხეშად არღვევენ წესებს, არაფრად აგდებენ კანონის მოთხოვნებს, ამასთან საგზაო ზედამხედველობის ავტოინსპექტორები სათანადო ყურადღებას და სიმკაცრეს არ იჩენენ. მართალია იმატა გამოვლინებული დარღვევების რიცხვმა, მაგრამ კვლავ დიდია გამოუვლინებელი დარღვევებიც, რის გამოც კვლავ აქვს ადგილი საგზაო შემთხვევებს.

ლოთობის და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ სათანადო ბრძოლას არ ეწევიან უბნის ინსპექტორები. მათ ზედამხედველობა და კონტროლი არ აქვთ დაწესებული ზონაში მყოფ ქრონიკულ ალკოჰოლიკებზე და ცხადია არავითარ პროფილაქტიკურ მუშაობასაც არ აწარმოებენ. ზოგ უბნის ინსპექტორს სიებიც არ აქვს, ამის გამოა, რომ გასულ წელს საგარეჯოს სამკურნალო სამედიცინო დაწესებულებაში მხოლოდ რამდენიმე პირია გაგზავნილი.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ნაკლებად იყენებენ რაიაღმასკომთან არსებულ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიას, ადგილობრივ საბჭოებს, რაიონის პარტიულ და საბჭოთა აქტივს.

ბოლო დროს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში კონტროლი აქვთ დაწესებული პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს. ჩვენც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა მნიშვნელოვნად შევამციროთ, საერთოდ ავიცილოთ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულობები.

**ჯ. ჭაბაშვილი,**
სიღნაღის შს რაიგანყოფილებასთან არსებული სამედიცინო გამოსაფხიზლებლის უფროსი, მილიციის კაპიტანი.

## ლოთობას — შეურიგებელი ბრძოლა

**მას** შემდეგ რაც ძალაში შევიდა ბრძანებულება ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, არყის შინ გამოხდის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ, იგი შესწავლილი იქნა ხულოს შს რაიგანყოფილების თითოეული თანამშრომლის მიერ. მუშაობა წარვმართეთ დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზების აღმოფხვრის უკომპრომისო ღონისძიებათა გატარებისაკენ. უპირველეს ყოვლისა სასოფლო საბჭოებში ჩვენი ინიციატივით შევქმენით საკონტროლო ჯგუფები სახალხო რაზმელების მონაწილეობით, წინადადებით შევედით რაისაბჭოს აღმასკომში ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობის ნებართვის მქონე ობიექტების რაოდენობის შემცირების შესახებ, რაც განხორციელდა კიდეც. თანამშრომელთა ლექცია-მოხსენებები ძირითადად ამ მიმართულებით წარიმართა. დაზუსტდა ბახუსის მოყვარულთა ზუსტი სია და მიმდინარეობს მათთან როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარება, შესაძლებელი გახდა უალკოჰოლო ქორწილების ჩატარება, ხოლო გადაჭარბებული სმა საერთოდ აიკრძალა.

ამ პერიოდში სიმთვრალის ნიადაგზე დანაშაულის ჩადენის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, საგრძნობლად შემცირდა განყოფილებაში სიმთვრალეზე წარმოდგენილ პირთა რიცხვი, რომელთა მიმართ მკაცრი ადმინისტრაციული ღონისძიებები იქნა გატარებული.

მოსახლეობაში უკვე შექმნილია საერთო აზრი ამ მავნე სენის წინააღმდეგ საბრძოლველად. მართალია პირველ ხანებში თავი იჩინეს აქა-იქ იოლი გზით გამდიდრების მოყვარულებმა, მაგრამ ჩვენ არცერთი ფაქტი არ დაგვრჩენია შეუნიშნავი და არ დაგვიტოვებია რეაგირების გარეშე.

მოსახლეობიდან ნებაყოფლობით ამოვიღეთ რამდენიმე არყის სახდელი მოწყობილობა, გამოვლინდა ვაჭრობის წესების რამდენიმე დარღვევაც, რაც მკაცრი მსჯელობის საგნად იქცა როგორც შრომით კოლექტივებში, ისე რაისაბჭოს აღმასკომთან არსებულ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიაზე.

**მ. ჭამაღაძე,**
**ხულოს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე, მილიციის კაპიტანი.**

## НАШИ ИНТЕРВЬЮ

# Против преступности на транспорте

**Служба транспортной милиции — особая. Все, что они охраняют — железнодорожные грузы, пассажиры — находится в постоянном движении. Это требует от сотрудников милиции особого умения, навыков, профессионализма.**

**О том, какую работу проводит Грузинское управление внутренних дел на транспорте и линейные подразделения по сохранности грузов на железнодорожном транспорте, об охране общественного порядка и борьбе с преступностью на железнодорожных магистралях, повышении эффективности мер по предупреждению правонарушений на железнодорожном транспорте рассказывает заместитель начальника Грузинского управления внутренних дел на транспорте подполковник милиции Александр Исидорович ЛОМИНАШВИЛИ.**

* * *

— Грузинским УВДТ осуществлена заметная перестройка работы как аппарата управления, так и подчиненных линейных органов. Наши усилия были направлены на устранение выявленных в ходе комплексного инспектирования недостатков, повышение организованности, укрепление дисциплины, неуклонное соблюдение социалистической законности.

В истекшем году, как и в предыдущие, удалось сохранить тенденцию оздоровления оперативной обстановки. Значительно сократилось количество преступлений, регистрируемых по линии уголовного розыска, в том числе тяжких. Снижено число краж личного имущества граждан, хулиганства. За последние годы наметилась тенденция по снижению убытков от хищений из подвижного состава на Закавказской железной дороге. За три года сумма убытков снизилась более чем на 700 тыс. рублей. Комплекс мероприятий на стыковых станциях Гардабани и Гантиади по предотвращению фактов проникновения с Азербайджанской и Северо-Кавказской железных дорог на территорию республики грузовых поездов со следами хищений дали положительные результаты.

Грузинское УВДТ неоднократно ставило перед руководством ЗКВ ж. д. вопрос о создании надлежащих условий для проверки верхних ярусов вагонов-платформ с автотехникой. В настоящее время эта проблема в основном нашла свое разрешение. Все прибывающие на пункт коммерческого осмотра ст. Гардабани вагоны с автосельхозтехникой до поступления на территорию республики подвергаются тщательной проверке работниками заслона и в присутствии сопровождающих сотрудников ВОХР Азербайджанской железной дороги, документируются факты разукомплектования автосельхозтехники. Значительно повысилась эффективность рассмотрения коммерческих актов в результате введения в действие на вычислительном центре ЗКВ ж. д. автоматизированной системы сбора и их обработки, которая внедрена на 16 железнодорожных станциях, входящих в зону оперативного обслуживания нашего управления.

Проведенные организаци-



онные и практические мероприятия позволили добиться снижения количества краж госимущества, в том числе хищений грузов из подвижного состава. Достигнутые результаты — итог повседневной работы всего личного состава управления и подчиненных ему подразделений на местах.

Вместе с тем, серьезную озабоченность вызывает состояние организации работы военизированной охраны ЗКВ ж. д.

Приказ МВД СССР от 1983 года наметил конкретную программу действий по повышению эффективности взаимодействия территориальных и транспортных органов. Следует отметить, что вопросы взаимодействия между отраслевыми службами МВД, УВД и Грузинского УВДТ как и прежде, в настоящее время решаются коллегиально и оперативно.

Вместе с тем, вопросы взаимодействия транспортных и территориальных органов в деле обмена оперативной информацией все еще не организованы должным образом. Непременным остаются вопросы взаимодействия по предупреждению правонарушений среди несовершеннолетних, в частности, по пресечению фактов битья стекол. В прошлом году нами в территориальные органы направлено более 1.500 информаций, связанных с правонарушениями несовершеннолетних. Однако, инспекции по делам несовершеннолетних территориальных органов внутренних дел не организовали должным образом профилактическую работу с подростками по месту жительства. В результате, в 1985 году допущено 33 факта битья стекол, за которые задержаны 64 несовершеннолетних.

В истекшем году немало сделано в части укрепления дисциплины и социалистической законности.

Со всей решительностью мы избавляемся от нечестных, скопрометировавших себя работников. За проявление склонности к частнособственническим тенденциям, к хозяйственному обрастанию уволены из органов внутренних дел начальник ЛОВД ст. Гагра, подполковник милиции Цхакая, оперуполномоченный БХСС ЛОВД ст. Самтредиа, капитан милиции Копалейшвили. За дискредитацию звания офицера советской милиции из органов внутренних дел уволены начальник ЛПМ ст. Телави, капитан милиции Стуруа, оперуполномоченный ОБХСС ЛОВД ст. Сухуми, капитан милиции Ансуба, начальник ЛПМ ст. Келасури капитан милиции Кахниашвили и другие.

Наша позиция за чистоту рядов милиции останется непреклонной. Мы не пойдем ни на какие компромиссы с теми, кто встал на путь хозяйственного обрастания и частнособственнической тенденции, кто грубо попирает служебно - исполнительскую дисциплину, кто не дорожит авторитетом милиции.

В нашем коллективе, как и во всех коллективах трудящихся республики, в предсъездовский период ведется напряженная работа по полному использованию имеющихся резервов и возможностей по достойной встрече XXVII съезда КПСС.

**Беседу записала**

**А. СААКАДЗЕ.**

# НАШИ КОНСУЛЬТАЦИИ

**Вопрос: «Какие льготы предоставляют членам добровольной народной дружины?».**

**Ответ:** Дружинникам, наиболее отличившимся при охране общественного порядка, предоставляется в качестве меры поощрения дополнительный оплачиваемый отпуск до трех рабочих дней в году. Решение об этом принимается руководством предприятия, учреждения, организации по представлениям командиров или штабов народных дружин. Лучшие дружинники отмечаются также почетными грамотами, денежными премиями и ценными подарками за счет средств, предусмотренных» на премирование коллективов предприятий, учреждений, колхозов и совхозов.

Кроме того, членам добровольных народных дружин выплачивается пособие по временной нетрудоспособности, наступившей в связи с выполнением ими обязанностей по охране общественного порядка, в размере ста процентов заработка, независимо от непрерывного стажа. А пенсия по инвалидности, в случае утраты трудоспособности по той же причине, назначается в размере, установленном для рабочих и служащих, ставших инвалидами из-за трудового увечья или профессионального заболевания.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარმა ზოოტექნიკოსმა პალიკო ბარბაქაძემ სკამიდან წამოიწია და თვალი თავმჯდომარეს გაუსწორა. — ეს ყველაფერი კარგი ამბაკოვიჩ, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, ჩვენი კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნასთან დაკავშირებით ხომ რაღაც ღონისძიებები გატარდება. ზოგს თქვენ გკითხავენ და ისე გაკეთდება. ზოგსა კიდევ თქვენ არც კი გკითხავენ. მიმიხვდით, იმის თქმა მინდა, დავრჩებით კი ჩვენ ჩვენს ადგილზე.

იმ წუთში ყველამ პალიკოს შეხვდა. მერე მზერა თავმჯდომარეზე გადაიტანეს და გაირინდნენ.

თავმჯდომარემ გაიცინა.

— ასეც ხდება, ჩემო პალიკო,

— ხალხნო, მართლა ეგრეა?

— დიახაც რომ ასეა, — დაიძახა ჭიაბრიშვილმა.

— მტრობას გულში ნუ ჩაიდებ, ჩემო ლავროსი. კაცს ისედაც ბევრი აქვს სანერვიულო და თავის სატეხი. ზურაბი ურიგო მუშაკი არ არის. პირდაპირიცაა, არ უყვარს ზურგს უკან ენის ტარტარი, რა საკადრისია ერთმანეთს გადაეკიდოთ. ორივენი კარგი მუშაკები ხართ და საერთო საქმეს ემსახურებით. აბა, სადაა იმის დრო რომ ერთმანეთს ნერვები უშალოთ — ისე მე მოველაპარაკები ზურაბს.

ლავროსი უნდილაძეს არც მატარებლით და არც თვითმფრინა-

# მზე ისევ გამოანათებს

ზაალ მესენგისერი

მაგრამ თქვენ ჩვენი კოლმეურნეობის ერთგულ მოთავეებს ეგ არ დაგიმსახურებიათ. მე თავად მოწმე ვარ თუ როგორ ცდილობთ თავი არ შეირცხვინოთ. ყველასათვის ნათელია, კარგ მუშაკებს გარეთ არ ერეკებიან, პირიქით, სანთლით ეძებენ.

ბარბაქაძე ისევ სკამზე დაეშვა და გაიღიმა.

— ჰოდა იმუშავეთ, საქმე ბლომადაა. ყველაფერი თქვენს მარიფათზეა დამოკიდებული. მერე შეისვენა, ჩაახველა და მთავარ ბუხჰალტერს ქვეშქვეშ გახედა.

— იასონ, სესხი რამდენი მოგვცეს მსხვილფეხა რქოსანი საქონლის შესაძენათ?

-მთავარმა ბუჰხალტერმა ქაღალდები მაგიდაზე გაშალა.

— ერთი მილიონ ხუთასორმოცდათხუთმეტი ათასი მანეთი მოგვცეს ეს დიდი თანხაა, ფეხზე დააყენებს ჩვენს მეურნეობას.

თავმჯდომარემ მაგიდაზე დააკაკუნა, მერე მზერა ფერმის გამგეზე გადაიტანა.

— ლავროსი. შენ ახლა დიდი ჯაფა დაგადგება. მალე საქონლის შესაძენად მოგიწევს წასვლა. ყუბანში ჯიშიანი საქონელი იშოვება სწორედ იქიდან უნდა წამოასხა მეწველი ძროხები.

— მე კი წავალ ამბაკოვიჩ, მაგრამ... ფერმის გამგემ მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს დახედა.

— ჰო, ამოღერღე, შენ კაცო, რა მოხდა?

— არაფერიც არ მომხდარა, მაგრამ...

— აი, იმ ზურაბზე მოგახსენებთ.

— რომელ ზურაბზე? თავმჯდომარე წამოდგა დოინჯი შემოიწყო და ფერმის გამგეს მწყრალად გახედა.

— იმ ზურაბზე ახლა აქ რომ ბრძანდებოდა და თქვენს ცხვირწინ იჯდა.

— მთავარი აგრონომი, არა? — იკითხა თავმჯდომარემ.

— ამბაკოვიჩ, იმ კაცმა ნერვები მომიშალა. სულ ყველაფერზე ჩამკირკიტებს. ახლა კიდევ კომკავშირელები მომისია. — მთავარი აგრონომი შვილოსა მეურნეობის წამყვანი მუშაკია. ასე ნუკი წამოკრავ ხელსა. თუ კანონიერად რაიმეს ამოწმებს ან მითითებებს გაძლევს, ყური უნდა დაუგდო. თუ უკანონოდ იქცევა, მაშინ სხვაა, შეგიძლია უჩივლო, მაგრამ ყველაფერი ათასჯერ აწონილი და უტყუარი უნდა იყოს.

— ამბაკოვიჩ, აბა, რა მთავარი აგრონომის საკადრისია, თავის მერგოლურთან რომანი გააბას.

თავმჯდომარემ ფერმის გამგეს თვალი გაუსწორა და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით იკითხა.

ვით მგზავრობა არ უყვარდა. სანამ სომხეთში წავიდოდა თავისი მანქანა პროფილაქტიკაში დააყენა, რომ ყუბანში წასასვლელად კარგად მომზადებულიყო. სომხეთი მამიკონას მანქანით მოიარა, იქიდან რომ მშვიდობით დაბრუნდა და ყველი და კვერცხიც ბლომად ჩამოიტანა, თავისი მანქანაც გამზადებული დახვდა. ლავროსის საქმის გადადება არ უყვარდა, იმ საღამოთი კოლა ხიდაშელი შეიპირა და დილით გაემგზავრნენ. საჭესთან მორიგეობით იჯდნენ. ისე კაცმა რომ თქვას, უფრო ხშირად მაინც ფერმის გამგე იჯდა. კოლა ძილის მოყვარული კაცი იყო და სამი-ოთხი საათი ხიდაშელი რომ მიაქროლებდა მანქანას, ლავროსის სულ ცოტა შვიდი საათი მაინც ეჭირა საჭე ხელში და ერთი საყვედურიც კი არ წამოცდენია.

მალე გზა ჩაბალახის კალთასავით სადღაც მოიკეცა და წინ საკურორტო ქალაქი გამოიკვეთა.

უნდილაძემ დიდი მარიფათი გამოიჩინა — სასტუმრო იშოვა და მგელივით მოშიებულ კოლასთან ერთად რესტორანშიც კარგად მოულხინა. იქვე გაიცნეს მადლენა შერვაშიძე და პავლე მიხაილუკი, რომელიც მსხვილფეხა საქონლის შეძენაში დახმარებას შეპირდა. რამდენიმე დღის შემდეგ მიხაილუკთან შეხვედრისას უნდილაძემ იკითხა საქმეს როდის შევუდგებითო.

მიხაილუკმა გაოცებით გახედა ლავროსის.

— ძვირფასო, საქმეს რახანია შევუდექით. დღეს ყველგან ჩემი ფეხით ჩამოვიარე, საქონელი იქნება.

— აგაშენათ ღმერთმა, — სული მოითქვა ლავროსიმ ფული ბლომად გვაქვს.

— რამდენი? — მაშინვე ჰკითხა მიხაილუკმა.

— მილიონნახევარზე მეტი, რასაკვირველია ძველი კურსით.

— არა უშავს რა, — გაიცინა პავლემ.

— ჰოდა. მთავარია საქმე გაიჩარხოს. ამ თანხით, როგორც გითხარით მხოლოდ მსხვილფეხა რქიანი საქონელი უნდა შევიძინოთ. პირველ პარტიას, როგორც კი შევისყიდით, მაშინვე გავგზავნი მეურნეობაში. ოღონდ მთავარი ისაა, პირველ პარტიაში ჯანსაღი და ძლიერი საქონელი იყოს. ხომ მოგეხსენებათ ათასი თვალი უყურებს, განსაკუთრებით პირველად შემოსულ საქონელს სინჯავს.

— გასაგებია, — თქვა მიხაილუკმა, დღეს დაათვალიერეთ საქონელი? ხომ გირჩიეთ.

— ვიყავით და დავათვალიერეთ. ძალიან კმაყოფილიც დავბრუნდით. ასეთი ძროხები რომ გვაყიდია.

დასაწყისი იხ. „მგზს“ №№ 1, 2, 3, 4. 1986 წ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

რეპლიკა

# ცუდი მაგალითი

თბილისის 26 კომისრის შს რაიგანყოფილების საპასპორტო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ნ. ტუხაშვილი სახელმწიფო კანონმდებლობისა და მართლწესრიგის დამცველია. უფრო სწორად, უნდა იყოს, მაგრამ... მართავდა რა მეუღლის კუთვნილ ავტომანქანას იგი არ დაემორჩილა ავტოინსპექტორის ნიშანს, დიდი სისწრაფით გაუსწრო წინ მიმავალ მანქანას და ავარიული ვითარება შექმნა. საკითხავია, რა დისციპლინა უნდა ჰქონდეს ასეთ ხელმძღვანელს სამსახურში, როდესაც თვითონ იძლევა ცუდ მაგალითს.

**რედაქციისაგან:** ალნიშნული შემთხვევის შესახებ ეცნობა შესაბამის ინსტანციებს. რედაქცია იმედს გამოთქვამს, რომ მომხდარის თაობაზე საქმიანად, პრინციპულად იმსჯელებენ და გატარებული ზომების შესახებ რედაქციას შეატყობინებენ.

# В ЭТОМ «СВОБОДНОМ» МИРЕ

**Итальянекое правительство приняло решение ввести с нового года ряд мер для предотвращения хулиганства на стадионах.**

Теперь здесь будут установлены телекамеры, которые заранее выявят «разбушевавшихся» зрителей. Полиции будет предоставлено право обыскивать лиц, вызывающих подозрение. При входе на стадионы предполагается установить специальную просвечивающую аппаратуру. Подобные меры связаны с тем, что зачастую наиболее рьяные «тиффози» приходят на футбольные матчи, запасаясь железными прутьями или резиновыми дубинками.

სპორტი

# სატურნირო ორბიტა

**გორკში** გაიმართა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ტრამპლინიდან ხტომაში.

საქართველოს მფრინავი მოთხილამურეები საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ.

პირად ჩათვლაში წარმატებით იასპარეზა ე. ორჯონიკიძემ რომელმაც იუნიორებს შორის პირველი ადგილი დაიკავა 90—მეტრიან ტრამპლინზე, მესამე—70-მეტრიანზე, მოიგო მხტომელთა შეჯიბრება გიგანტურ სლალომში. კარგად გამოვიდნენ კ. წაქაძე და ი. გობოზოვი.

ამ დღეებში ე. ორჯონიკიძე და ი. გობოზოვი „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაკრების შემადგენლობაში პოლონეთს გაემგზავრებიან სოციალისტური ქვეყნების დინამიადაში მონაწილეობის მისაღებად.

**თბილისში** დამთავრდა წყალბურთელთა საკავშირო პირველობის ერთ-ერთი ეტაპის მატჩები.

თბილისის დინამოელებმა ერთი შეხვედრა ფრედ დაამთავრეს და ორიც წააგეს. პირველი წრის ბოლო ტურის წინ ისინი მეშვიდე ადგილზე არიან.

# ЛИЧНОСТЬ КВАРТИРНОГО ВОРА

Одним из «частных» вопросов многогранной проблемы личности преступника, нуждающимся в самостоятельном изучении, является личность квартирного вора.

Характерно, что в облике квартирного вора наиболее резко проявляются чуждые нашему обществу частнособственнические пережитки — корысть, стяжательство, стремление жить за счет других. В общей массе таких лиц можно выделить в какой-то мере «случайных» преступников, для которых совершение квартирной кражи было эпизодичным, не типичным для поведения в целом, и воров - рецидивистов, в большинстве своем не желающих жить за счет честного труда и нередко превращающих кражи в основной источник паразитического существования.

Квартирная кража относится к тем немногим преступлениям, которые весьма распространены среди женщин. В числе квартирных воров почти каждый пятый— женщина. Удельный вес таких воровок в три раза выше доли женщин, осужденных за кражи социалистического имущества и в 4,5 раза — за грабежи и разбойные нападения.

Далее, наиболее распространенной среди квартирных воров является возрастная группа 16—17 лет. Она охватила пятую часть от числа всех обследованных, осужденных за квартирные кражи. Относительная плотность распределения квартирных краж на один год этой возрастной группы в 2 раза выше, чем в ближайшей к ней возрастной группе 18—24-летних. Преобладание лиц молодого возраста среди совершающих квартирные кражи объясняется рядом обстоятельств.

Период несовершенннолетия и начала самостоятельной жизни отмечается сложными, зачастую и противоречивыми процессами социализации личности. В указанное время начинают формироваться ценностные ориентации индивида, его характер, потребности, интересы. В этом возрасте человеку, не накопившему достаточного практического опыта, приходится самостоятельно решать многие жизненно важные задачи (получение образования, выбор профессии, создание семьи и т. д.), впервые сталкиваться со сложными ситуациями, а вот необходимых навыков правильно разобраться в них нередко не хватает. Кроме того, в результате имеющихся недостаков нравственного и трудового воспитания, часть лиц в этом возрасте еще не осознает необходимости жить только за счет социально одобряемых источников, в том числе за счет трудовых доходов (родителей и своих). Притязания и потребности у названных лиц нередко не соизмеряются с возможностями их правомерного удовлетворения. В ряде случаев они не осознают возможной ответственности за свои поступки, легкомысленно подходят к нарушениям правовых норм (даже не зная их), не задумываются над их последствиями. Вот почему первостепенное значение в предупреждении квартирных краж со стороны несовершеннолетних имеет ранняя профилактика. При этом нужно учитывать, что подростки нередко совершают общественно опасные действия в целях завладения чужим имуществом еще до достижения возраста, с которого наступает уголовная ответственность. Исследование показало, что лица, начавшие преступную деятельность несовершеннолетними или в возрасте от 18-ти до 24-х лет, чаще чем другие осужденные совершают повторные кражи.

Вместе с тем важно подчеркнуть, что хотя доля лиц в возрасте 35 лет и старше в общей массе воров сравнительно невелика, тем не менее названная возрастная группа заслуживает пристального внимания. Такие лица, как правило, — рецидивисты с устойчивым антиобщественным поведением, приобретенными преступными навыками и в то же время ослабленными социально полезными связями.

Квартирная кража относится к числу так называемых городских преступлений. Подавляющее их большинство совершается в городах и поселках городского типа, в том числе, часто—в областных центрах, на долю которых приходится почти половина квартирных краж, совершаемых в городах.

**В. КУЗНЕЦОВ,**
**кандидат юридических наук.**

**(Продолжение следует).**



**საქართველოს** სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლის აგიტბრიგადა „სადღეისო“ (სამხატვრო ხელმძღვანელი ვ. ხელაშვილი) თავისი სპექტაკლებით მოსახლეობაში აქტიურ პროპაგანდას ეწევა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების დაცვისა და ხანძრის თავიდან აცილების მიზნით.

გასულ წელს ანსამბლი ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში იმყოფებოდა საგასტროლოდ, სადაც მშრომელები დიდ ინტერეს იჩენდნენ ანსამბლის საინტერესო და მრავალფეროვანი რეპერტუარისადმი.

**სურათზე:** ანსამბლის წევრები სპექტაკლის დროს.

სარედაქციო კოლეგია
РЕДКОЛЛЕГИЯ

ჩვენი მისამართი: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23, ტელ. 95-66-72, 991-41-24. Наш адрес: 380025, ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24 უე 07235
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.